პროფესიონალი

№92

PROFESIONALI

ბათუმი. ბაგრატიონის 131
E-mail: giorgii2004@gmail.com
www.newdesign.ge

პროფესიონალი +

www.prof-news.com

მთავრედაქტორი:
ელა ფეფელავი

სარედაქციო კოლეგია

მისამართი,
[illegible]
ტელ.: 299-82-60

E-mail:profesionali@mail.ru

ჟურნალი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით. ავტორი თავად აგებს პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე. რედაქცია ყოველთვის არ იზიარებს ჟურნალისტის პოზიციებს და ამავე დროს, არ გამოხატავს, არცერთი პარტიისა თუ პოლიტიკური დაჯგუფების ინტერესებს.

28.08.21. - 28.09.21

უმორჩილესად გთხოვთ ჩვენი ჟურნალის წარმომადგენლებს მოსთხოვოთ სათანადო მოწმობა

საპარლამენტო სიახლეები

საქართველოს კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვა თბილისში გაიმართა

საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის წევრებმა საზოგადოებას კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების პროექტი გაცნეს. როგორც კომისიის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა განმარტა, კანონპროექტით მომდევნო ორი საპარლამენტო არჩევნებისთვის 2%-იანი საარჩევნო ბარიერი და მანდატების პროპორციული განაწილების წესი დგინდება; საპარლამენტო ფრაქციების შესაქმნელად პარლამენტის წევრთა რაოდენობა შვიდიდან ოთხ წევრამდე მცირდება;

შემდეგი გენერალური პროკურორები კვალიფიციური უმრავლესობით აირჩევიან. იმ შემთხვევაში თუ კვალიფიციური უმრავლესობით არჩევა ვერ მოხდება, 76 დეპუტატის მხარდაჭერა იქნება საკმარისი. საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა ლევან იოსელიანმა, თეონა აქუბარდიამ, ფრიდონ ინჯიამ, იაგო ხვიჩიამ, დავით უსუფაშვილმა საკონსტიტუციო ცვლილების მნიშვნელობაზე გაამახვილეს ყურადღება, რომელიც მათივე თქმით, სახელისუფლებო გუნდისა და საპარლამენტო ოპოზიციას შორის უპრეცედენტო შეთანხმების შედეგია.

„ამ ცვლილებების ინიცირება რომ შესაძლებელი გახდა, მე მგონი, ჩვენი კონსტიტუციური ისტორიის განმავლობაში ყველაზე ფართო პოლიტიკური კონსენსუსით პარლამენტის შიგნით, ეს შემთხვევითი არ არის. საზოგადოებას და პოლიტიკურ სპექტრს ერთადერთი დოკუმენტი გვიჭირავს ხელში, რომელიც ითვალისწინებს ფართო პოლიტიკურ შეთანხმებას. წინ არის ძალიან სერიოზული და რთული პროცესები - ადგილობრივი არჩევნები, შემდგომი მოვლენები, რთული მდგომარეობა მსოფლიოსა და რეგიონში, პანდემია და ა.შ. ჩვენ გვჭირდება შეთანხმების გზით სიარული, გავუფრთხილდეთ ამ მიღწეულ შეთანხმებას“, - განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვაში, მოსაზრებების გამოთქმისა და კითხვა-პასუხის ფორმატში, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე, საზოგადოების სხვადასხვა წრეების წარმომადგენლები და ექსპერტები იყვნენ ჩართულნი. საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვის ტრანსლაცია მიმდინარეობდა პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდის და სოციალური მედიის (facebook) საშუალებით, სადაც თითოეულ დაინტერესებულ მოქალაქეს, ასევე ექსპერტებს საშუალება მიეცათ, დაესვათ შეკითხვები და აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ამ პროცესში. კომისიის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა და კომისიის წევრებმა, როგორც დარბაზში შეკრებილი ორგანიზაციებისა და საზოგადოების, ასევე დისტანციურად ჩართული მოქალაქეებისა და ექსპერტების ყველა დასმულ კითხვას უპასუხეს. საქართველოს კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვა ორი დღის განმავლობაში, 16-17 აგვისტოს ქუთაისსა და თბილისში გაიმართა.

სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მართვაზე სანქციები მკაცრდება

პარლამენტის წევრმა, ლევან იოსელიანმა პარლამენტის რიგგარეშე სესიის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით წარადგინა კანონპროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შესახებ“, რომელიც სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მართვაზე სანქციების გამკაცრებას ითვალისწინებს. მომხსენებელმა განაცხადა, რომ 2020 წლის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქართველოში 4999 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაა დაფიქსირებული, რომელთა შედეგადაც დაიღუპა 450 პირი და დაშავდა 6640. მისი თქმით, „ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევები მძიმე სამართალდარღვევებს წარმოადგენენ და ამჟამად მოქმედი ჯარიმის ზომები ვერ უზრუნველყოფენ ამ სამართალდარღვევათა ჩადენის პრევენციას, მიზანშეწონილია, ამ სამართალდარღვევების სიმძიმის გათვალისწინებით დადგინდეს პროპორციული პასუხისმგებლობის ზომები. სატრანსპორტო საშუალების მართვისთვის ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში, ან სატრანსპორტო საშუალების მართვისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ალკოჰოლური სიმთვრალის დასადგენად შემოწმებისათვის თავის არიდებისთვის, პასუხისმგებლობად განისაზღვრება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 1 წლით შეჩერება, ნაცვლად 6 თვისა“.

კანონპროექტის მიხედვით იზრდება სხვადასხვა ანალოგიური სამართალდარღვევისათვის დაწესებული სანქციები.

ჯანდაცვის სფეროში სოციალური მუშაობა ინერგება

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სამედიცინო დაწესებულებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით, სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებებში სოციალური მუშაობის თემასთან დაკავშირებით შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მონაწილეებმა დისკუსია სოციალური მუშაობის შესახებ კანონიდან გამომდინარე იმ გადაწყვეტილების თაობაზე გამართეს, რომლის

მიხედვით სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებებში სოციალური მუშაობის სექტორი ამოქმედდა და შესაბამისად, ჯანდაცვის სფეროში სოციალური მუშაკები დასაქმდნენ. ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე თამილა ბარკალაიას ინფორმაციით, სოციალური მუშაობა ჯანდაცვის სფეროში ახლა ინერგება და ამიტომ მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით გამოცდილების გაზიარება, ასევე თანამშრომლობა სტანდარტების, მეთოდოლოგიის შემუშავებაში. შეხვედრაზე საუბარი შეეხო იმ გამოწვევებსა და პრობლემებს, რომელთა წინაშეც კანონის ამოქმედების შემდეგ სტაციონარული სამედიცინო დაწესებულებები აღმოჩნდნენ.

„სოციალური მუშაობა ჰოსპიტალურ სექტორში ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს და იგი არც თუ დიდი ხანია რაც ფუნქციონირებს. ბუნებრივია, ეს საკითხი, რაკი საუბარია უფლებების უკეთ დაცვაზე ამ სექტორში, კომიტეტის ინტერესის სფეროში შემოდის. ამ დარგის და სექტორის განვითარების მხარდაჭერის მიზნით, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ვფლობდეთ მეტ ინფორმაციას დარგში არსებული გამოწვევების შესახებ, უშუალო კომუნიკაცია გვქონდეს იმ ადამიანებთან, ვინც ამ თემებზე მუშაობს და შესაბამისად, ეს გამოკვეთს იმ საჭიროებებს, რაზეც სამომავლოდ ვიმუშავებთ და ეს განსაზღვრავს სწორედ ჩვენს სამომავლო დღის წესრიგსაც“, - განაცხადა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ სარჯველაძემ.

კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, შეხვედრაზე ის საკითხებიც გამოიკვეთა, რომლებზეც მნიშვნელოვანია სამომავლოდ გაგრძელდეს მუშაობა. მათ შორის, ეს არის განგრძობადი განათლების მიმართულება იმ ადამინებისათვის, ვინც სოციალური მუშაობის ფუნქციით არიან აღჭურვილი უშუალოდ ამ სექტორში. დღის წესრიგში დგას ასევე მეთოდოლოგიაზე მუშაობის საკითხი და ცალკეული კანონქვემდებარე აქტების შემუშავების საჭიროება, ასევე შიდა რეფერირების მექანიზმების გაუმჯობესება და სხვა.

„ნარკოტიკული საშუალებების“ და „ფსიქოტროპული ნივთიერებების“ ჩამონათვალს მთელი რიგი ნივთიერებები ემატება

„გაეროს 1961 წლის, 1971 წლის და 1988 წლის კონვენციების სიებში ახლად შეტანილ საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებებზე რეგულირების დაწესება წარმოადგენს მათი უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებას, რაც, თავის მხრივ, დადებითად იმოქმედებს ქვეყანაში ნარკოლოგიური ვითარების გაუმჯობესების კუთხით“, - განაცხადა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, თამარ გაბუნიამ პარლამენტის სხდომაზე. მან დეპუტატებს განსახილველად წარუდგინა კანონპროექტი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის მიხედვითაც „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის №2 დანართით გათვალისწინებული ნუსხის „ნარკოტიკული საშუალებების“ ცხრილს და „ფსიქოტროპული ნივთიერებების“ ცხრილს ემატება მთელი რიგი ნივთიერებები. აღნიშნული ცვლილებით მოხდება საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების საქართველოს კანონმდებლობაში ასახვა. პარლამენტის წევრი, მიხეილ სარჯველაძე მიიჩნევს, რომ სასურველია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი და სხვა ნივთიერებებთან მიმართებაშიც გაჩნდეს ცვლილებების, კანონის დახვეწისა და გაუმჯობესების შესაძლებლობა.

პარლამენტმა მესამე მოსმენით განიხილა და 79 ხმით მხარი დაუჭირა კანონპროექტს „მეწარმეთა შესახებ“

„ნამდვილად დიდი საქმეა, დავასრულეთ „მეწარმეთა შესახებ“ კანონსა და პაკეტში შემავალ კანონპროექტებზე წლების მუშაობა, რომელიც საბოლოოდ კანონად იქცა. მადლობა მიხეილ სარჯველაძეს გაწეული შრომისთვის, მადლობა იურიდიულ კომიტეტს და თითოეულ ადამიანს, რომელიც მონაწილეობდა ამ კანონის შემუშავებაში წლების განმავლობაში“, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ, კახა კუჭავამ კანონპროექტზე კენჭისყრის დასრულების შემდეგ.

კანონპროექტის თანმდევი პაკეტი 26 კანონპროეტისაგან შედგება და შესაბამისად, მიღებული კანონპროექტით წესრიგდება სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნებასთან, ერთი პირის სამეწარმეო საზოგადოებასთან, შენატანებთან, სამეწარმეო საზოგადოების ორგანოებთან, ბუღალტრულ აღრიცხვასთან, ანგარიშგებასთან და აუდიტთან, ხანდაზმულობასა და გასაჩივრების ვადებთან დაკავშირებული საკითხები. პროექტი განსაზღვრავს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაზე უფლებამოსილების მქონე იურიდიული პირის დაფუძნების პროცედურებს, არსებობის ფორმებსა და მათი არსებობის პროცესში ამავე სუბიექტის ორგანიზაციულ-სამართლებრივ საკითხებს. მომხსენებელმა, მიხეილ სარჯველაძემ აღნიშნა, რომ ეს პროექტი იუსტიციის სამინისტროს მიერ არის მომზადებული. მასთან დაკავშირებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა აქტიური და ინტენსიური მუშაობა და ამ თანამშრომლობის შედეგად შესაძლებელი გახდა „მეწარმეთა შესახებ“ თანამედროვე, ევროპული, ერთ-ერთი საუკეთესო კანონპროექტის შემუშავება.

COVID19–ის პანდემია და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური კრიზისი უპრეცედენტო სისწრაფით ღრმავდება და მსოფლიოს ეკონომიკას რეცესიისკენ უბიძგებს. საქართველო, როგორც ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა, განსაკუთრებული რისკის ქვეშ დგას. ქვეყნის ხელისუფლება, საჯარო თუ კერძო სექტორი და ქართველი ხალხი პანდემიას ძალზე აქტიურად და თანამშრომლობაზე დამყარებული მიდგომით დახვდა. ვირუსის გავრცელებისთანავე განხორციელებულმა სწრაფმა და გადამწყვეტმა ქმედებამ აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ის, შემდგომი გავრცელების შესაჩერებლად და სრულიად სამართლიანად საერთაშორისო შექება დაიმსახურა. საქართველოს მთავრობამ სქემის შემუშავება ბიზნესის და მოწყვლადი ჯგუფების დასახმარებლად დაიწყო და უწყვეტად მიმდინარეობს მათი მხარდაჭერის გეგმის განხორციელება. წარმატებით გატარებული სტრუქტურული რეფორმების შედეგების გათვალისწინებით, დღეს შესაძლებელი გახდა კრიზისზე მტკიცე რეაგირება, ქვეყნის მომავლის საფრთხის ქვეშ დაყენების გარეშე. გარდა იმისა, რომ საჭიროა დაუცველი ბიზნესებისა და მოსახლეობის მხარდაჭერა, რათა კრიზისს გაუძლონ. უნდა გაგრძელდეს თითოეული რეგიონის პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება და განვითარება, რომ მათაც საკუთარი წვლილი შეიტანონ საერთო ეროვნული წარმატების მიღწევასა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდაში. სწორედ ამგვარი სტრატეგიული მიდგომა მოახდენს გავლენას შიდა უთანაბრობების შემცირებასა და აღმოფხვრაზე. უკვე განვითარებულ რეგიონებს მეტი შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ სარგებელი ევროპული ინტეგრაციისა და ბაზრების გახსნის შედეგად. სწორედ ეს გახდება იმ ქმედებების გრძელვადიანი შედეგი, რომლებიც მიზნად ისახავს ჩვენს ქვეყანაში საჭირო ინფრასტრუქტურის მიწოდებას, ადამიანური რესურსების ხარისხის გაუმჯობესებას, სიღარიბისა და სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლას და სხვადასხვა ინსტიტუციების განმტკიცებას. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერთან, ბატონ **ზურაბ სეხნიაშვილთან,** სწორედ აღნიშნული მიმართულებებზე ვესაუბრეთ...

წელს უამრავი პროექტია დაგეგმილი

- ბატონო ზურაბ, პირველ რიგში COVID-19-ის ფონზე არსებულ ვითარებაზე უნდა გკითხოთ...

- ამ ეტაპისთვის, ჩვენი მთავრობა და მოსახლეობა მიმდინარე გამოწვევებს ძალზე ეფექტურად პასუხობს - მეტ-ნაკლებად აკონტროლებს სამედიცინო საფრთხეებს და წარმატებით ახორციელებს ჰუმანიტარულ ამოცანებს. მოგეხსენებათ, საქართველოს ტიპის ქვეყნები მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული საერთაშორისო დახმარების მასშტაბზე. პარალელურად, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეფორმების დაჩქარებას, არსებული პლატფორმების განვითარებას და მათი ხელმისაწვდომობის ზრდას. როგორც ხედავთ, დღეს აქტიურად ხდება საერთაშორისო პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილების გააზრება, არა მხოლოდ ჯანმრთელობის, არამედ ეკონომიკური კრიზისის მართვის მიმართულებით. ამას ემატება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ძალისხმევა და მაღალდისციპლინირებული მუშაობა, რაც არსებული გამოწვევების ფონზე, ფრიად დადებით შედეგებს იძლევა.

- ამ კუთხით, რა საახლეებია დუშეთის მუნიციპალიტეტში?

- სულ უახლესი ამბავით დავიწყებ: ახლახან, დუშეთის მუნიციპალიტეტსა და სლობოჟანსკის რაიონს შორის უკრაინაში გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობას კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ბიზნესის, ჯანდაცვის, ეკოლოგიის

და სხვა სფეროებში. აღნიშნული რაიონი ლიეტუვასა და ლატვიის მუნიციპალიტეტების შემდეგ მეოთხეა, რომელთანაც დუშეთის მუნიციპალიტეტმა დაამყარა პარტნიორული ურთიერთობა. პანდემიის პირობებში მოკრძალებულად აღვნიშნეთ. 14 ივლისს, ვაჟა-ფშაველას 160 წლის იუბილე, რომელიც ვაჟა-ფშაველას ფონდის ინიციატივით, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა სოფელ ჩარგალში. ღონისძიების ფარგლებში ეთერ თათარაიძისა და ამირან არაბულის ავტორობით გამოცემული ორენოვანი კრებულის „ვაჟა-ფშაველას ნაკვალევზე“ პრეზენტაცია ჩატარდა, ხოლო რუსთავის თეატრის მიერ წარმოდგენილ იქნა სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი“. საიუბილეო საღამოს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, საქართველოს პარლამენტის წევრი სოზარ სუბარი და მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებული დავით ნოზაძე ესწრებოდნენ.

- წელს, ალბათ კიდევ ბევრი პროექტის განხორციელება იგეგმება...

- მართლაც, მიმდინარე წელს უამრავი პროექტია დაგეგმილი, რომლებიც მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ადგილობრივი ბიუჯეტიდან და სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან დაფინანსდება. სხვადასხვა მიმართულებით, აქტიურად განხორციელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები. დაიგება ასფალტო-ბეტონის გზები, რეაბილიტაცია ჩაუტარდება სკოლებს და ბაგა-ბაღებს. ამათგან, განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია ქვეშეთი-კობის 23 კმ-იანი გზისა და 9 კმ-იანი გვირაბის მშენებლობას. აღნიშნული მონაკვეთი ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნის ჩქაროსნულ გზატკეცილად მოდერნიზების პროექტის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. პროექტის მიხედვით დაგეგმილია 2-ზოლიანი ასფალტო-ბეტონის გზის, 5 ხიდის, 5 გვირაბის მშენებლობა და 1 ხიდის რეაბილიტაცია. მათ შორისაა საქართველოში ყველაზე დიდი, 9 კმ სიგრძისა და 15 მ დიამეტრის გვირაბის მშენებლობა, რომელიც მსოფლიოს უნიკალურ გვირაბებს შორის მოხვდება. ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების მოგვარების გარდა, ქვეშეთი-კობის ახალი გზა ეკონომიკური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია. უპირველეს ყოვლისა, გაიზრდება საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი. გარდა ამისა, გზის მშენებლობის დასრულების შემდეგ, შეიქმნება ახალი ტურისტული მიმართულებები, რომლებიც საინტერესო და მიმზიდველი იქნება, როგორც ტურისტებისათვის ასევე ინვესტორებისათვის. შედეგად, ადგილობრივ მოსახლეობას საკუთარი მცირე ბიზნესის წამოწყების საშუალებაც გაუჩნდება.

- როგორც შევნიშნეთ, დუშეთში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსი შენდება...

- სპორტ-კომპლექსის მშენებლობა აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს და საქართველოს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება. დაგეგმილია ოთხსართულიანი შენობის მშენებლობა. სართულების ვერტიკალურად დაკავშირება მოხდება, როგორც კიბეებით, ასევე ლიფტით. მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. პირველ სართულზე განლაგდება მისაღები, ადმინისტრაციის ოთახები, საკონფერენციო დარბაზი, სასადილო, სამზარეულო, მწვრთნელისა და დაცვის ოთახები, სველი წერტილები,

საქვაბე, სამრეცხაო. ძიუდოს დარბაზი მასთან დაკავშირებული სათავსოებით, როგორიცაა გასახდელები, სველი წერტილები, საშხაპეები, საუნა, ტრენაჟორების ოთახი და საწყობი. მეორე სართულზე განთავსდება კალათბურთის დარბაზი, ტრიბუნები, სასტუმროს ოთახები. მესამე სართულზე მოეწყობა დამატებითი ტრიბუნები და უშუალოდ შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის განკუთვნილი ადგილები, ხოლო მეოთხე სართული დაეთმობა სასტუმროს ოთახებს და ტერასას. მთლიანობაში ტრიბუნები გათვლილი იქნება 293 მაყურებელზე. ხოლო, 15 სასტუმრო ოთახი თავისუფლად შეძლებს მოემსახუროს 30 სპორტსმენს. შენობის ფასადი მოპირკეთდება ეკოლოგიურად სუფთა და სერთიფიცირებული მასალების გამოყენებით.

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამაც ასეთივე წარმატებით ვითარდება?

- სოფლებში პრიორიტეტული პრობლემების მოკვლევა მოსახლეობასთან კოორდინირებული მუშაობით და მათთან კონსულტაციების რეჟიმში მიმდინარეობს. ადგილებზე ტარდება კრებები, სადაც, უმრავლესობის გადაწყვეტილებით, აქცენტები კონკრეტულ პროექტებზე კეთდება. გასულ, 2020 წელს, ჩვენს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი შედგა. განვახორციელეთ ჭოპორტისა და სოფელ ახატანის დამაკავშირებელი გზის სტიქიის შედეგად დაზიანებული მონაკვეთის მოხრეშვის სამუშაოები, გუდამაყრის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ფახვიჯი - ბაკურხევის გზის და ბიჩნიგაურებში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. რაც შეეხება სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, ჭაბურღილებისა და გამანაწილებლების რეაბილიტაციას, მსგავსი სამუშაოები ჩატარდა სოფელ პეტრიაანში, ანანურში, არღუნსა და ქედელობაში. სანიაღვრე არხი მოეწყო ციხისძირში, ხიდების აღდგენა-გამაგრების და დაზიანებული ბურჯების შეკეთების სამუშაოები განხორციელ-

და ზემო მლეთაში, იანტალოში და ნადიბანში. ოძისში მოხდა მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა, ხოლო დაბა ფასანაურში სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია. ვიმუშავეთ ჭართლის გარე განათების გაგრძელებაზე - დოლასქედის მიმართულებით და ვაშლობში არსებული ჯვრის აღდგენაზე. გარდა ამისა, წარმატებით განხორციელდა დუშეთის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების შესყიდვა.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, ქალაქ დუშეთში ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა. დავით აღმაშენებლის ქ. N-100-ში III კორპუსის ეზოში მოხდა ასფალტის საფარის აღდგენა და N-I კორპუსის ეზოს ორმოულების შეკეთება. გზის საფარი მოეწყო ჭონქაძის, იოსელიანის, ბექაურის, ტაბიძის, კოსტავას ქუჩაზე და კობიანთკარის დასახლებაში. ჩატარდა ე.წ. „სურბ გევორქის“ სასაფლაოს გზის რეაბილიტაცია და მთვარელიანთკარის ხევისპირა გზის სტიქიის შედეგად დაზიანებული მონაკვეთის მოხრეშვა-მოშანდაკება, ობსერვატორიის ქუჩაზე მოეწყო სანიაღვრე არხი. დაბა ჟინვალში მოასფალტდა კორპუსების ეზოები, ფრაგმენტული შეკეთება ჩაუტარდა მჭადიჯვრის ეკლესიის ზედა მხარეს მისასვლელ გზას, ბაზალეთში მისასვლელ საავტომობილო გზის ასფალტის საფარს და ქუბრიაანთკარში ხეობის გასწვრივ მდებარე სტიქიის შედეგად დაზიანებული მონაკვეთს.

- წელს რა სამუშაოები აწარმოეთ ამ მიმართულებით?

- მიმდინარე წელს უკვე დავასრულეთ დუშეთში, საგანგებო სიტუაციების, კორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრის შენობის გარე პერიმეტრის მოწესრიგება, ყაზბეგის ქუჩის და აღმაშენებლის ქუჩაზე 104-ში მდებარე კორპუსის ეზოს მოასფალტება. მოხდა ქუბრიაანთკართან მდინარე წირდალას კალაპოტის დაღრმავება მარჯვენა სანაპიროზე ყრილების მოწყობით და უკანაფშავის გზის მონაკვეთის (ორწყლიდან შუაფხომდე) გზის აღდგენა ჰიდრავლიკური შემკვრელებით. რეაბილიტაციის სამუშაოები ჩატარდა მაღაროსკარის მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრის ფილიალში და კობიაანთ დასახლებაში - მინი სტადიონზე. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო სოფელ ანანურში შესანიშნავად მოწყობილი სანაპირო, რომელიც დამსვენებელთათვის და ადგილობრივი მოსახლეობისთვის უკვე საყვარელ ადგილად იქცა. აგრეთვე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, დუშეთის მუნიციპალიტეტის გრემისხევის ადმინისტრაციულ ერთეულში მისასვლელი ადგილობრივი მნიშვნელობის 11.4 კმ-იანი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. პროექტის მიხედვით რეაბილიტირდება სოფელ მიქელიანში მისასვლელი 11.4 კმ-იანი საავტომობილო გზა, რომლითაც სარგებლობს, როგორც გრემისხევის თემში შემავალი 11 სოფლის (ციხისუბანი, არბოეთი, თხილოვანი, მიქელიანი, პეტრიანი, ციგრიიანთკარი და სხვა), ისე გზის მიმდებარე

ტერიტორიაზე არსებული სოფლების მოსახლეობა და სოფელ მიქელიანთან, მდინარე ნარეკავზე არსებული წყალსაცავის მომსახურე პერსონალი. ეს სოფლები რაიონული ცენტრიდან დაშორებულია 22 კმ-ით. პრობლემები იქმნება, როგორც საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ისე დროული სასწრაფო სამედიცინო დახმარების მიღების თვალსაზრისით. ამასთან, სოფლები გამყოფ ხაზთან მდებარეობს. არსებული გზა არის გრუნტოვანი და ძლიერ დაზიანებული, რის გამოც ავტოტრანსპორტის გადაადგილება რთულდება, განსაკუთრებით ნალექიან ამინდში. პროექტის განხორციელების შემდეგ, ყველა ეს პრობლემა აღმოიფხვრება, ადგილობრივი მოსახლეობა და სტუმრები ახალი კომფორტული და უსაფრთხო გზით შეძლებენ სარგებლობას.

- როგორც ვიცით, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევთ ბავშვთა აღზრდის დაწესებულებებს...

- ისევე, როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, მომავალ თაობაზე ზრუნვა ჩვენთვისაც უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. შეხვედრები გვაქვს ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის თანამშრომლებსა და მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების დირექტორებთან, სადაც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებულ პრობლემებზე, მათი მოგვარების გზებსა და სამომავლო გეგმებზე ვმსჯელობთ. ჩვენ ვზრუნავთ, რომ მაქსიმალურად ხარისხიანი კვება, ეკოლოგიურად სუფთა სასმელი წყალი შევიტანოთ ბაღებში. პარალელურად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოწესრიგებული სველი წერტილები და ზოგადი ინფრასტრუქტურა. ვხედავთ, რომ პრობლემები არსებობს, მაგრამ მათი მოგვარების გზები დასახული გვაქვს და ეტაპობრივად მივყვებით. გასულ, 2020 წელს, ჩვენი ძალისხმევით, განხორციელდა ქვეშეთის და მჭადიჯვრის სკოლამდელი აღზრდის ფილიალების სარეაბილიტაციო სამუშაოები, დუშეთის N1, N2 და N3 ბაღებს ჩაუტარდათ სრული რეაბილიტაცია ეზოების კეთილმოწყობით, შეკეთდა ბულაჩაურის და ჭოპორტის საბავშვო ბაღის შენობები და კეთილმოეწყო ეზოები. რაც შეეხება მიმდინარე წელს, მჭადიჯვრის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ოძისში ასევე მოხდა შენობის რეაბილიტაცია, ხოლო სოფელ მაღაროსკარში აშენდა ახალი საბავშვო ბაღი. გარდა ამისა, მინდა აღვნიშნო, რომ მუნიციპალიტეტში ჩატარდა „ჩირიკის“, ჭილურტის, ძველი ოსების (ნოკორნა), ზანდუკის, ოძისის და პირმისაანთკარის საჯარო სკოლების სარემონტო სამუშაოები. დამატებით, სველი წერტილები მოეწყო ჭართლის, ლამოვანის, საკრამულის, ბაზალეთის, საშაბუროს, მიქელიანის, მჭადიჯვრის, მაღაროსკარის, ლაფანაანთკარის, არაგვისპირის, აბანოსხევის და დაბა ფასანაურის მე-2 საჯარო სკოლებში. ხელახლა აშენდა, ხანძრის შედეგად დამწვარი, სოფელ შატილის სკოლა-პანსიონი, ხოლო დუშეთში მიმდინარეობს ვაჟა-ფშაველას სახელობის N1 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია და ეზოს კეთილმოწყობა. ამ საერთო სურათიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ მომავალ თაობაზე ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ, სასურველი შედეგის მისაღწევად კი, ურთიერთთანადგომა და მჭიდრო თანამშრომლობაა საჭირო.

შპს ხიდმშენი-99



მისამართი:
საქართველო, ქ.მცხეთა.
დავით აღმაშენებლის ქ. №22

განახლებული რეგიონები

უკანასკნელი წლებია, ყველა ინფრასტრუქტურული პროექტის დროს, რომლებიც საქართველოში ხორციელდება, ძირითადად, გათვალისწინებულია ის რეკომენდაციები, რაც უცხოელი ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან გაიცემა. ამის ფონზე, ფრიად ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ახლახან, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის პირადი ინიციატივით, სახელმწიფო პროგრამა „განახლებული რეგიონები“ დაიწყო. ოთხწლიანი პროგრამა საქართველოს 63 მუნიციპალიტეტს მოიცავს და მისი მხოლოდ პირველი ეტაპის საორიენტაციო ღირებულება 500 მილიონი ლარია. ეს მართლაც გრანდიოზული პროექტი რეგიონების ურბანულ განახლებას ითვალისწინებს, რაც სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტების და კერძო საკუთრებაში არსებული მნიშვნელოვანი ობიექტების განვითარებას გულისხმობს. პროგრამის თანამდევი პროექტები მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების უშუალო ჩართულობით სპეციალურმა კომისიამ დაამტკიცა, ხოლო სამშენებლო კომპანიები, რომლებმაც უკვე დაიწყეს მოსამზადებელი და სამშენებლო სამუშაოები, ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერებით შეირჩა. აღსანიშნავია, რომ სპეციალური კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ისე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები და სივრცითი დაგეგმარების სპეციალისტები. საქმიანობა ყველგან მაღალი ტემპით მიმდინარეობს და გამონაკლისი არც ასპინძა გახლავთ, სადაც, უკვე წლის ბოლომდე, გარკვეული მონაკვეთების, შესაბამისი შენობების, პარკების, სკვერების, სხვა ფუნქციურად დატვირთული ახალი სივრცეების დასრულებაა გათვალისწინებული. ბუნებრივია, ეს სამუშაოები გაგრძელდება და სამომავლოდ პროგრესი კიდევ უფრო თვალსაჩინო იქნება. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ის რეალური ინფრასტრუქტურული განახლება, რომელიც ვიზუალურთან ერთად, ობიექტების ფუნქციურად კიდევ უფრო გამდიდრებას ითვალისწინებს. აბსოლუტურად ყველა რეკრეაციაში გათვალისწინებულია საირიგაციო სისტემების მოწყობა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ნაწილში შესაბამისი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. ასევე, მოწესრიგდება კომერციული სივრცეები, რომლებიც ახალი სახით კიდევ უფრო დიდ შესაძლებლობებს გააჩენს და მათ კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ **როსტომ მაგრაძველიძეს,** სწორედ მსგავსი ტიპის დასრულებულ და მიმდინარე პროექტებზე გავესაუბრეთ.

- ბატონო როსტომ, პირველ რიგში, მუნიციპალიტეტში განხორციელებულ საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტზე მინდა გკითხოთ...

- მოგეხსენებათ, ჩვენს რეგიონში, ინფრასტრუქტურის განვითარებას, როგორც ეკონომიკური, ასევე ტერიტორიული და სოციალური ინტეგრირების დატვირთვა გააჩნია. შესაბამისად, ადგილობრივი მუნიციპალიტეტისთვის საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს და ამ მიმართულებით დაბასა და სოფლებში სამუშაოები მთელი წლის განმავლობაში ინტენსიურად გაგრძელდება. დაბა ასპინძაში, აქტიურად მიმდინარეობს მეფე თამარის, ერეკლე II, რუსთაველის, ტაბიძის ქუჩების და

მიმდებარე ტერიტორიის სრული რეაბილიტაცია. პროექტით გათვალისწინებულია პარკირების მოწყობა, ველო და საფეხმავლო ბილიკების გამართვა. პარკში გაკეთდება ადმინისტრაციული შენობა, ორი შადრევანი, ხელოვნურ-საფარიანი მინი-სტადიონი, ჭადრაკის მოედანი, წყარო და 9 აპრილის მონუმენტი. მთლიანად მოხდება პარკის ტერიტორიის გამწვანება. პროექტის დასრულებისთანავე, მოგვარდება გურამიშვილისა და ერეკლე II ქუჩების დამაკავშირებელი წყალგამტარი მილხიდისა და ნაპირსამაგრი გაბიონების მოწყობის საკითხი. პარალელურად, დაბაში დაიწყო სხვა ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელთა ფარგლებში დაგეგმილია ახალი დასახლების ქუჩების და სანაპიროს ქუჩის ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურით. ეს სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

- სხვა მიმართულებით რა სიახლეებია?

- მოგეხსენებათ, ნებისმიერი მუნიციპალიტეტის სწრაფი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა წარმოუდგენელია განვითარებული ინფრასტრუქტურის გარეშე. აუცილებელია გვესმოდეს, რომ ეს არამარტო საგზაო პროექტების განხორციელებას გულისხმობს. შესაბამისად, ჩვენ წელს წამოვიწყეთ სოფელ ტოლოშის სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობა. ხიზაბავრასა და ნაქალაქევში - აქტიურ ფაზაშია სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია. აქ, სატენდერო პირობებით გათვალისწინებულია მილსადენის სრული რეაბილიტაცია, რაც სრულად აღმოფხვრის სასმელი წყლის პრობლემას მოსახლეობაში. გარდა ამისა, აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს დაბა ასპინძისა და სოფელ ოშორაში გზის დამცავი საყრდენი კედლების მოწყობა, სოფელ ძველში დაგეგმილია საბავშვო ბაღის მშენებლობა - აშენდება ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბაღი, რომელიც ადაპტირებული იქნება შშმ პირთათვის. შენობას ექნება კეთილმოწყობილი შიდა და გარე სივრცეები, უზრუნველყოფილი იქნება ბავშვთა უსაფრთხოება და სკოლამდელი აღზრდის ყველა სხვა სტანდარტი. პარალელურად, ყურადღებას ვაქცევთ ახ-

ალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას - ახლახან, დაბა ასპინძაში, ვარძიის ქუჩაზე დასრულდა სპორტული მოედნის მშენებლობა. მოეწყო ხელოვნურსაფარიანი მოედანი, კალათბურთის ფარები, ფეხბურთის კარები და განათება. სტადიონი შემოიღობა ლითონის კონსტრუქციით.

- მეორე წელია, განახლდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ ...

- მართლაც, როგორც მოგეხსენებათ, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ საქართველოში ორწლიანი პაუზის შემდეგ ისევ განახლდა და მიზნად ისახავს სოფლის ტიპის დასახლებების ინფრასტრუქტურის განვითარებას და მოსახლეობის ჩართულობის ზრდას გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეულ სოფელს ცენტრალური ბიუჯეტიდან გარკვეული ოდენობის თანხა ეძლევა და ადგილობრივები თავად ასახელებენ და ირჩევენ საერთო კრებაზე, რას მოხმარდება ეს ფული. შესაბამისად, წელს, მოსახლეობის ერთმა ნაწილმა პრიორიტეტულ საკითხად წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და შიდა გზების მოწესრიგება დაასახელა. ნაწილმა - გაზიფიცირებისთვის სამუშაოების დაწყების მნიშვნელობაზე გააკეთა აქცენტი. დანარჩენ სოფლებში კი სტადიონების მოწყობის, სასაფლაოებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაციის და გარე განათების სისტემის სამუშაოები ჩატარდა. მაგალითად - სოფელ ნიჯგორში დასრულდა გარე განათების მოწყობის სამუშაოები, ჭობარეთში - სანიაღვრე არხების მოწყობა, ხოლო, აწყვიტაში - შიდა გზების რეაბილიტაცია. რაც შეეხება ოვერიასა და ფიას, აქ ადგილობრივი მოსახლეობის გადაწყვეტილებით გზისპირა მოსაცდელები აშენდა. გარდა ამისა, ამასწინათ, ადგილობრივ თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ ნაქალაქევში, გავხსენით მინი-სტადიონი, რომელიც, ასევე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა და რასაკვირველია, ეს ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

- დასასრულს, მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაზეც უნდა გკითხოთ...

- ამ ზაფხულს, სამცხე-ჯავახეთის მხარის რწმუნებულთან, ბატონ ბესიკ ამირანაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ დამალაში ახალი რეაბილიტირებული კულტურის ცენტრის შენობა გავხსენით. პროექტის ფარგლებში ნაგებობას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა - მოეწყო მეტლახის და ხის იატაკი, შეიცვალა კარ-ფანჯრები, დამონტაჟდა შეკიდული ამსტრონგის ჭერი, ბეტონის სარინელი და ბაზალტის ბორდიურები, გაილესა და შეიღება შიდა ოთახები, მოეწყო თეატრალური სკამები. გარდა ამისა, წელს, ასპინძის ომის 251 და მეფე ერეკლეს დაბადებიდან 301 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებას ვუმასპინძლეთ. დღესასწაული კულტურის ცენტრის წინ ღია სივრცეში გაიმართა, სადაც „საპატიო ასპინძელის“ წოდებით დავჯილდოვეთ ჩვენი თანამოქალაქენი. ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდნენ მუნიციპალიტეტის ქორეოგრაფიული და სამუსიკო ანსამბლები. სცენის მიმდებარედ მოეწყო ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა და ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის პრეზენტაცია.

„მარტვილავტოგზა“

შპს „მარტვილავტოგზა“
მარტვილი მშვიდობის ქ.#148
ტელ.: 599303598

ნდობა და სრული გამჭვირვალობა

დღეს, როცა საქართველოში COVID-19-ის გავრცელების პიკია, ცხადია, საკმაოდ რთულია ზუსტი პროგნოზების გაკეთება იმ სამომავლო გავლენის შესახებ, რასაც საბოლოოდ, ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სურათი მოახდენს შიდა ეკონომიკაზე. ზოგადად, შეზღუდული რესურსების პირობებში, საკმაოდ სარისკოა ცალკეული ეკონომიკური შეღავათების თუ სტიმულირების პაკეტების ინიცირება და შეზღუდვების დაწესება. თუმცა, პარალელურად, ფრიად მნიშვნელოვანია საერთაშორისო პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილების გააზრება, სამთავრობო ინიციატივები და ადგილობრივი თვითმმართველობის აქტიური ჩართვა მიმდინარე პროცესებში. როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობამ უკვე გამოაცხადა კრიზისული მდგომარეობის გეგმა, სადაც, აქცენტები, როგორც მოკლევადიან, ისე პერსპექტივაში განვითარებად პროექტებზე გაკეთდა, რათა მაქსიმალურად მოხდეს მიმდინარე საჭიროებების დაკმაყოფილება და ქვეყანაში გატარებულმა ღონისძიებებმა, ეტაპობრივად აამოქმედოს ყველა სექტორი. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველოს აქვს დიდი სურვილი და ურყევი ნება, გაატაროს რეფორმები და რაც მთავარია, განავითაროს ინფრასტრუქტურული პროექტები. ამ პროექტებით შესაძლებელი იქნება შემცირდეს ტრანსპორტირების ხარჯები, ადგილობრივ მოსახლეობას ეს ხელს შეუწყობს ბევრად მარტივად გაყიდონ პროდუქცია და პოსტკოვიდურ პერიოდში დაეხმარება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონს ერთმანეთთან დაკავშირებაში. შედეგად, მუნიციპალიტეტები განახორციელებენ პროექტებს ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებით, როგორიცაა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა, ძირითადი ინფრასტრუქტურის და მუნიციპალური სერვისების დახვეწა, საგანმანათლებლო დაწესებულებების გაძლიერება და სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანობის გაუმჯობესება. სწორედ ეს ინიციატივები შეუწყობს ხელს მიმდინარე სექტორულ პროგრამებთან და პროექტებთან ერთად, კონკრეტულ რეგიონებში ინვესტიციების და დასაქმების ზრდას. ამ ინიციატივების გათვალისწინებით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია, მაქსიმალურად უზრუნველყოფს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტას და მთლიანი ადმინისტრაციული ერთეულის მართვას, ხოლო ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ირაკლი კუჭავა**, ცდილობს ზედმიწევნით შეასრულოს ზემოთხსენებული ვალდებულებები და ყველანაირად გვერდში დაუდგეს თავის თანამოქალაქეებს...

- ბატონო ირაკლი, რა მდგომარეობაა მუნიციპალიტეტში?

- დღეს, ასეთ დაძაბულ ვითარებაში, როგორც რეგიონებში, ისე მთლიანად ქვეყანაში, ჯანდაცვის საკითხების პარალელურად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც განუწყვეტლივ გაგრძელდება ცალკეული რეგიონების განვითარების პოტენციალის ხელშეწყობა. ამ სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია, როგორც კონკრეტული პროექტების სამოქმედო პროგრამების, მათი განხორციელების ვადების, ხარჯებისა და დაფინანსების წყაროების განსაზღვრა, ისე - რეგიონებში არსებული ბუნებრივი, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენება, ინვესტიციების წახალისება და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება. ჩვენ, ჩვენის მხრივ, ყველა პრიორიტეტულ საკითხს და მწვავე პრობლემას, რომელიც დღეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არსებობს, ყურადღებას არ ვაკლებთ და ეს საქმიანობა, ბუნებრივია, არც მოსახლეობას რჩება უყურადღებოდ...

- მაშინ, თავდაპირველად, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე“ გვითხარით...

- მოგეხსენებათ, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა წელსაც აქტიურად დაიწყო. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დასაწყისიდანვე მოქალაქეებს ეძლევათ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის შესაძლებლობა, მათ შორის, მერიის მხრიდან ინფორმაციის თავისუფლად მიღების, საპროექტო წინადადებების შემუშავების, წარდგენის, მათ შესახებ ინფორმაციის მოსახლეობაში გავრცელების და გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველა ეტაპზე ჩართულობის უზრუნველყოფის სახით.

- იქნებ ჩვენ მკითხველს განუმარტოთ, რამდენად გამჭვირვალეა ეს პროცესი...

- გარწმუნებთ, რომ მუნიციპალიტეტი, ყველა შესაძლო საშუალებით და სრული გამჭვირვალობით, აქტიურად ახდენს პროცესის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას, საერთო კრებებზე გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო პროცედურების ორგანიზებასა და მათი სხდომების ჩატარების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას. როგორც მოგეხსენებათ, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თაობაზე საპროექტო წინადადებების მოქალაქეებისგან მიღებას ახდენენ მერიის უფლებამოსილი პირები, რომლებიც განსაზღვრული არიან შესაბამისი ბრძანებით, ხოლო ნებისმიერ პირს, მიუხედავად მისი რეგისტრაციის ადგილისა და მოქალაქეობისა, შეუძლია გადმოიწეროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საიტიდან საპროექტო წინადადებების ფორმა, ან მიიღოს ადგილზე ჩვენი წარმომადგენლისაგან და ის შევსებული სახით წარმოადგინოს მერიაში. გარდა ამისა, მოქალაქემ საკუთარი იდეა ან წინადადება ზეპირი სახით შეუძლია აუხსნას მერიის უფლებამოსილ პირებს, მათ შორის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს, რომლებიც დაეხმარებიან მას ფორმის შევსებაში. დამატებით, შესაძლებელია, საპროექტო წინადადების ფორმა ელექტრონულად გადაიგზავნოს მერიაში, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

- წელს რა მიმართულებებით იქნება წარდგენილი საპროექტო წინადადებები?

- ვინაიდან მოსახლეობა თავად იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელონ საკუთარ ადმინისტრაციულ ერთეულეში, საკითხების სპექტრი ძალიან ფართოა. ესენია სანიაღვრე არხები, ნაპირსამაგრი სამუშაოები, გზები და გზისპირა მოსაცდელები, ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები და გადასასვლელები. გარე განათება, სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი. სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი, სკვერები და სხვა მრავალი საკითხი.

- ამჟამად მიმდინარე თუ დასრულებულ პროექტებზე რას გვეტყვით?

- მოგეხსენებათ, უკანასკნელ პერიოდში მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განახლების მიზნით რამოდენიმე წარმატებული პროექტი განხორციელდა. მიმდინარე წელს პრიორიტეტებად საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, წყალ-კანალიზაციის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია და სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოებია განსაზღვრული. მიმდინარე პროექტებიდან აღსანიშნავია შიდა გზების მოწესრიგება სოფელ კოხნარსა და საჭამიასერში, სადაც დასრულდა ცენტრალური მაგისტრალიდან კოხნარის ცენტრამდე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, რომელიც საქართველოს მთავრობის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა. ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები მიმდიბარეობს გუთურსა და ბუკისციხეში. სამუშაოების ჯამურმა ღირებულებამ, რომელიც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა, 547 568 ლარი შეადგინა სოფელ ინტაბუეთსა და ბუკნარში, სადაც ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა დასრულდა და მალე დაიწყება ბუკნარი-ქვენობანი-ხიდისთავის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტირება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დაბა ჩოხატაურში სტაბილური წყალმომარაგებისთვის წყლის ახალი სისტემა აშენდება. სათავე ნაგებობის სატუმბი სადგურისა და მაგისტრალური წყალსადენის პროექტირება-მშენებლობის სამუშაოებზე ტენდერი უკვე გამოცხადდა და სამუშაოების განხორციელების შედეგად დაბაში 1 200 ოჯახს სტაბილური წყალმომარაგება ექნება.

- სამომავლო გეგმებზე რას იტყვით..

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში კვლავაც აქტუალური იქნება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, გზების რეაბილიტაცია და სასმელი წყლის ქსელით ადგილობრივ მაცხოვრებელთა უზრუნველყოფა. დაწყებულია ჩოხატაურის ეროვნული პარკის პროექტირება. გორაბერეჟოულში აშენდა პროფესიული სასწავლებელი და სექტემბრიდან დაიწყება სწავლა, რა თქმა უნდა პანდემიამ თუ არ შეუშალა ხელი. ვაპირებთ დაბა ბახმაროს გამრიცხველიანებას და წყალმომარაგების მოწესრიგებას, ხოლო გაეროს განვითარების პროგრამასთან თანამშრომლობით ჩხაკაურა-ბახმაროს მონაკვეთზე, საპიკნიკე ზონებისა და სანიტარული სივრცის მოწყობას. გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ მოსახლეობის დაცვა, მათ ჯანმრთელობასა და საარსებო პირობებზე ზრუნვა, ისევე, როგორც უმუშევრობის ზოგადი პრობლემის გადაჭრა ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანაა და არსებული სიტუაციის გამოსწორება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად მიმაჩნია. ამიტომ, იმედი მაქვს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთთანამშრომლობით ყველა პრობლემა მოგვარდება, გამოსავალი მოიძებნება და პროექტებს ბოლომდე მივიყვანთ. ზოგადად, სამომავლო საქმიანობის განსახორციელებლად სასიცოცხლოდ გვესაჭიროება სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა და დახმარება. ამიტომ, უაღრესად მნიშვნელოვანია იმ მექანიზმების შექმნა და ამოქმედება, რომელიც შესაბამისობაში მოიყვანს ჩვენს საერთო მიზნებს და ინტერესებს. რაც დადებითად წაადგება, როგორც ჩვენს მოსახლეობის, ისე ზოგადად, რაიონის და რეგიონის კეთილდღეობას.

Leselidze st. L2. N2 Terjola, Georgia
Agmaschenebeli AVE N81. Kutaisi, Georgia
Office: +995 0 790 702 302; +995 (0) 431 25 13 25
Mobile: +995 599 58 77 48
Email: ltdmtm@gmail.com

MTM

Director
Mevlud Getsadze

Polimeri 1

GEORGIAN PLASTIC PIPES

2016 წელს კომპანიას ნაციონალური და საერთაშორისო კანონმდებლობის დონეზე ISO 9001:2015 სერტიფიკატი მიენიჭა.

2017 წლიდან ორგანიზაციამ მასშტაბები გააფართოვა და საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემებისათვის „გოფრირებული~ მილების წარმოება დაიწყო.

შ.პ.ს „პოლიმერი~ 1985 წელს, კოოპერატივის ფორმით ჩამოყალიბდა და მის ძირითად საქმიანობას მცირე დიამეტრის პოლიეთილენის მილებისა და ფირის წარმოება შეადგენდა. დღიდან დაარსებისა, კომპანიის ხელმძღვანელი ბატონი ამირან ადეიშვილი გახლავთ.

2009 წელს კომპანიის ბაზაზე შ.პ.ს „პოლიმერი 1~ ჩამოყალიბდა. მოხდა წარმოების სრული გადაიარაღება. დამონტაჟდა 4 ერთეული სხვადასხვა დიამეტრის მილების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი უცხოური დანადგარი, რომლითაც ხდება სასმელი წყლისა და გაზის მაგისტრალური ქსელებისათვის მაღალ წნევებზე მომუშავე 24 დასახელების (დ–20 მმ დან – დ–630 მმ ჩათვლით) პოლიეთილენის მილების წარმოება.

კომპანიას 32 წლიანი გამოცდილება გააჩნია, საკუთარ ბაზაზე გადამზადებული მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ფლობს უმაღლესი ხარისხის თანამედროვე ტექნოლოგიებს და აწარმოებს ევროპული ხარისხის მილებს, რომელთა საექსპლუატაციო პერიოდი 50-55 წელს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ მაღალი დიამეტრის (20მმდან-140მმ-ს ჩათვლით) მილების დახვევით, სამუშაო პროცესის დროს, მომხმარებელი ღებულობს 5-ჯერ ნაკლებ დანახარჯს, როგორც დროის, ასევე ფინანსური თვალსაზრისით.

მის:. თბილისი, ვაგზლის ქ. №15ა,

ტელ: (995 32)2 40-30-19;

599 99-36-36;

577 119-919; 599 99-35-35;

www.polimeri1.ge

info@polimeri1.ge

COVID-19

პანდემიის დროს დეზინფორმაცია არა მხოლოდ დამაბნეველი, არამედი ძალიან სახიფათო

იუტის შტატის ბრიგამ იანგის უნივერსიტეტის ტექნოლოგიების სკოლის პროფესორმა ამანდა ჰიუსმა მთელი თავისი კარიერა უბედურებებისა და კრიზისების დროს სოციალური მედიის შესწავლას მიუძღვნა. პროფესორი იკვლევს, როგორ ერთვება საზოგადოება კრიზისების დროს სოციალურ მედიაში და რამდენად პოულობენ ადამიანები სანდო ინფორმაციას. ამ საკითხის კვლევა კიდევ უფრო

მნიშვნელოვანი გახდა კორონავირუსის პანდემიის დროს, რადგან ინტერნეტში სწრაფად ვრცელდება დეზინფორმაცია ამ ვირუსის შესახებ. სოციალურ მედიაში გავრცელებული დიდი ოდენობით დეზინფორმაცია ცუდად მოქმედებს ხალხის შეხედულებაზე და იწვევს დაბნეულობას.

„იმის გამო, რომ COVID-19-ის კრიზისი გლობალური მოვლენაა, სოციალურ მედიაში მის შესახებ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ინფორმაცია ვრცელდება. წარსულში უკვე შესწავლილი გვაქვს რამდენიმე დიდი მოვლენა, მაგრამ რადგან ახლა საქმე გვაქვს გლობალურ პანდემიასთან, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ დიდძალ ინფორმაციაში გავარჩიოთ სიმართლე და დეზინფორმაცია“ - ამბობს ჰიუსი.

პროფესორი ჰიუსი გვთავაზობს სამ გზას, რომლითაც შეგვიძლია, მთელი ამ არეულობის დროს ინტერნეტში გავრცელებულ ცნობებში გამოვარჩიოთ სანდო ინფორმაცია.

სანდო წყაროები: გლობალური პანდემიის დროს მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოთ ინფორმაციის წყაროს. მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ან ჯანდაცვის ადგილობრივი დეპარტამენტები.

იყავით სკეპტიკური: გამადიდებელი შუშით შეხედეთ სოციალურ ქსელში გავრცელებულ ნებისმიერ ცნობას, განსაკუთრებით ისეთებს, რომლებიც ემოციურ რეაქციებს აღვიძებს, აუცილებლად გადაამოწმეთ ისინი ოფიციალურ წყაროებში. დეზინფორმაციის შემცველი მრავალი მასალა გამიზნულია თქვენი გაბრაზების, აღელვების ან ემოციების აშლისათვის, რამაც თქვენ მისი გაზიარებისკენ უნდა გიბიძგოთ.

ცოტა იმოქმედეთ და გადაამოწმეთ: როგორც წესი, სანდო ანგარიშებს აქვთ სრული პროფილი, პროფესიონალური იერსახე და ტონი; თუმცა, შესაძლებელია ამ ყველაფრის გაყალბებაც. ამიტომ, ეძებეთ ნიშნები, რომელთა გაყალბებაც რთულია, მაგალითად, ამ ანგარიშის მიერ წარსულში გამოქვეყნებული ცნობების სანდოობა ან ვის აქვს გამოწერილი ეს ანგარიში.

დეზინფორმაცია ხშირად მაშინ ვრცელდება, როდესაც კარგი განზრახვით მოქმედი ადამიანები რაღაცას გაიგებენ მეგობრის მეგორებისგან და ამას პოსტავენ ისე, როგორც სიმართლეს. მიუხედავად იმისა, რომ ახლა ძალიან ბევრი დეზინფორმაცია ვრცელდება, არის რაღაც, რაც COVID-19-ის პანდემიას წარსულის კატასტროფებისგან განასხვავებს ახლა ბევრი ადამიანი დაკავებულია დეზინოფრმაციის ძებნით და მისი სიმართლით ჩანაცვლებით.

„იმის გამო, რომ ეს მოვლენა ნელა ვრცელდება და ადამიანები სახლში არიან რესურსებთან ერთად, ბევრ ადამიანს აქვს საშუალება იყოს მოხალისე, შეაგროვოს და საზოგადოებისთვის გაავრცელოს სანდო ინფორმაცია“, - ამბობს ჰიუსი.

პანდემიის დროს დეზინფორმაცია არა მხოლოდ დამაბნეველი, არამედი ძალიან სახიფათოც შეიძლება იყოს. გაზიარების ღილაკს ახლა იმხელა მნიშვნელობა აქვს, როგორც არასდროს. ახლა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, პირველ რიგში იფიქროთ, შემდეგ კი ისე იმოქმედოთ სოციალურ მედიაში. სხვა მრავალ დეზინფორმაციას შორის, ბოლო დროს განსაკუთრებით აგორდა მითი კორონავირუსისა და 5G ტექნოლოგიას შორის, რაც მკვლევართა განცხადებით, უბრალოდ მავნებლობაა. უკიდურესად მნიშვნელოვანია, გადაამოწმოთ ნებისმიერი ინფორმაცია, რასაც კორონავირუსის შესახებ ეცნობით.

როგორ დავიცვათ თავი კორონავირუსისგან

ახალი კორონავირუსული (COVID-19) ინფექციისგან თავის დასაცავად დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი გვირჩევს ხელები ხშირად დავიბანოთ საპნითა და წყლით ან სპირტის შემცველი ხსნარით, რაც ანადგურებს ხელების ზედაპირზე არსებულ ვირუსებს. ასევე, ხველისა და ცემინებისას აიფარეთ პირსა და ცხვირზე ერთჯერადი ცხვირსახოცი ან მოხრილი იდაყვი. ცხვირსახოცი გამოყ-

ენებისთანავე დახურულ ურნაში გადააგდეთ და ხელები დაიბანეთ. თანამედროვე მედიცინის გამოწვევა, COVID 19 განსაკუთრებით საყურადღებოა გულით დაავადებული და ხანშიშესული პაციენტებისთვის. ახალ კორონავირუსს, სხვა პანდემიებისგან განსხვავებით, გართულებების დაბალი რისკი ახასიათებს, თუმცა თანმხლები გულ-სისხლძარღვთა დაავდებები ამ რისკს, დაახლოებით, 4-ჯერ

ზრდის.

ზედმიწევნით გაითვალისწინეთ ზოგადი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რჩევები:

ხშირად დაიბანეთ ხელები. ერიდეთ დაუბანელი ხელით სახის, თვალების, ცხვირის, პირის ლორწოვანის შეხებას.

მოერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს, უარი თქვით ხელის ჩამორთმევაზე, გადაკოცნაზე.

ხველებისა და ცემინებისას დაიცავით დისტანცია, შებრუნდით და გამოიყენეთ ერთჯერადი ცხვირსახოცი ან მოხრილი იდაყვი.

სიმშვიდე, ჯანსაღი კვება, ზომიერი ფიზიკური დატვირთვა და მშვიდი ძილი აუცილებელია თქვენი იმუნიტეტის გაძლიერებისთვის.

ზომიერად მიიღეთ სითხე (რაოდენობა შეათანხმეთ მკურნალ ექიმთან)

მეორადი ბაქტერიული და ვირუსული ინფექციების თავიდან ასაცილებლად სასურველია ჩაიტაროთ ვაქცინაცია პნევმოკოკებისა და ინფლუენსას წინააღმდეგ (მიმართეთ მკურნალ ექიმს).

ხველის, ცხელების ან სუნთქვის გაძნელების შემთხვევაში აუცილებლად მიმართეთ ექიმს (მოერიდეთ პირად ვიზიტს).

რა უნდა იცოდეს ალერგიულმა ადამიანმა ახალი კორონავირუსის ვაქცინის შესახებ

ზოგადად ვაქცინებზე ძლიერი ალერგიული რეაქციის, მათ შორის ანაფილაქსიური შოკის განვითარება იშვიათია, მაჩვენებლები ვარირებს დაახლოებით 0.3-დან 2.1-მდე ერთი მილიონი ვაქცინის დოზაზე.

აღსანიშნავია, რომ ვაქცინაციის დროს ალერგიის განვითარების მიზეზი თავად ვაქცინის გარდა შესაძლებელია მასში შემავალი ექსიპიენტები გახდეს, როგორიცაა ჟელატინი, კვერცხი, ანტიმიკრობული საშუალებები საფუარი, ლატექსი და ა.შ

მას შემდეგ რაც ახალ Pfizer/BioNtech COVID 19 ვაქცინაზე დაფიქსირდა ალერგიული რეაქციები, სხვადასხვა საერთაშორისო ავტორიტეტულმა ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს რეკომენდაციები ალერგიული პირებისთვის.

მომავალში შესაძლოა ეს რეკომენდაციები შეიცვალოს მას შემდეგ რაც დაგროვდება მეტი ინფორმაცია ალერგიასთან მიმართებაში.

რამდენად დასაშვებია ვაქცინის ჩატარება ზოგადად ალერგიული პირებისთვის

ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიხედვით კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია დასაშვებია ჩაუტარდეთ საკვებზე, საინჰალაციო ალერგენებზე (ოთახის და მცენარეული მტვერი, ნესტის სოკო), ცხოველებსა და მწერის ნაკბენებზე ალერგიულ პირებს. ვაქცინაციის შემდეგ 15 წთ-აინი დაკვირვების პერიოდის გათვალისწინებით.

თუმცა გარკვეული სიფრთხილე, რისკი შეფასება, ვაქცინაციის შესაძლო გადავადება და აცრის შემთხვევაში ვაქცინაციიდან 30 წთ-იანი დაკვირვების პერიოდი რეკომენდებულია იმ პაციენტებისთვის ვისაც წარსულში სხვა ვაქცინაზე ან ინექციურ თერაპიაზე ჰქონდათ ძლიერი ალერგიული რეაქცია (მაგ. ანაფილაქსიური შოკი), ხოლო ვაქცინის ჩატარება უკუნაჩვენებია თავად ახალ კორონავირუსის ვაქცინაზე ანაფილაქსიური შოკის მქონე ადამიანებისთვის.

შესაძლებელია თუ არა ახალი ვაქცინის შემადგენელ რომელიმე ინგრედიენტზე განვითარდეს ალერგიული რეაქცია

საყურადღებოა, რომ Pfize/BioNTech ვაქცინა შეიცავს პოლიეთილენ გლიკოლს, როგორც დამატებით ინგრედიენტს. ეს ნივთიერება ძალიან ფართოდ გამოიყენება მრავალ სამკურნალო საშუალებაში, როგორიცაა ლაქსატივები, კოსმეტიკური საშუალებები, კბილის პასტები კანის კრემები. უკიდურესად იშვიათად ფიქსირდება ალერგია მათ მიმართ. თუმცა ამერიკის ალერგიის, ასთმისა და კლინიკური იმუნოლოგიის კოლეჯის რეკომენდაციის მიხედვით წარსულში მათზე ძლიერი ალერგიის მქონე პირებს ახალი ვაქცინა არ უნდა ჩაუტარდეთ.

ლატექსზე ალერგიულ პირებს თუ შეუძლიათ ჩაიტარონ ვაქცინაცია

Pfizer/BioNtech ვაქცინის ფლაკონებს აქვთ ბრომობუტილის საცობი. ეს არის რეზინის სინთეზური ფორმა, რომელიც არ შეიცავს ლატექსს. Pfizer– მა დაადასტურა, რომ ლატექსი საერთოდ არ გამოიყენება ნედლეულში, რომელიც გამოიყენება ვაქცინის წარმოებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ლატექზე ალერგიულმა პირებმა აცნობონ ექიმს აცრის წინ, რომ ლატექსის შემცველი ხელთათმანების და სხვა სამედიცინო საშუალებების გამოყენება არ მოხდეს აცრის დროს.

ქიათურა,
აბაშიძის 18
ტელ.: 598251214

ბოლდ ენდ ბრო

E-mail: gagabregvadze@yahoo.com

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

სამაგისტრო პროგრამების აკრედიტაცია

- გემის ენერგეტიკული და ელექტრული სისტემების დანადგარები
- საპორტო ოპერაციების მართვა
- საზღვაო ტურიზმის მენეჯმენტი

საბაკალავრო პროგრამების აკრედიტაცია

- საზღვაო ნავიგაცია
- გემის ელექტრომექანიკა
- გემის მექანიკა
- ნავსადგურებისა და ტერმინალების გადამტვირთავი აღჭურვილობის ექსპლუატაცია
- ეკონომიკა – ტრანსპორტის ეკონომიკა
- ფინანსები – საფინანსო საქმე დაზღვევა ტრანსპორტზე
- ბიზნესის ადმინისტრირება

საქართველო, 6010 ბათუმი, რუსთაველის ქ. №53
ტელ.: +995(422) 27-94-51
ვებ-გვერდი: http://bsma.edu.ge
ფაქსი: +995(422) 27-48-50
ელ. ფოსტა: info@bsma.edu.ge



ცხოვრება ზედმეტი ხარჯის მარეშე

ფასადის თერმოიზოლაცია